კვირა, 29 ოქტომბერი, 1917 წ.

ადმინისტრაციის „ჩანთოლების“ ადრესი: თფილისი, ოლდას ქუჩა, № 6.

ფასი 35 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკეკლეკი

№ 44

მ ა თ რ ა ხ ი

1917

redaqciis adresi: tfilisis qalaqis kuCa, № 132. telefoni 13417.

ტრიბუნები დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის.



ფრიად შესაფერი ტრიბუნა შავრაზმელთათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ არის დამნაშავე?

დიდებული დღე სოლომონ ზურგიელიძის გარდაცვალებისა უფერული ჩატარდა.

სირცხვილი მთ, ვისაც ამისი ბრალი ედება! „ეშმაკის მათრახის“ რედაქციამ ყოველი ღონე იღონა, მაგრამ რას გააწყობ საზოგადოების გულგრილობასთან! ქართველი კაცი, მაშ რიღას ქართველია, თუ გასამართლებელ მიზეზს ერთის მაგივრათ ორსა და სამს ვერ გამონახავს.

მართალია, ჩვენს მოწოდებაში არ იყო ნათლად გამოთქმული მიზანი საზოგადოების მოწვევისა, მაგრამ გვეგონა ეს ყველასათვის აშკარა იქნებოდა. ვინ არ იცის, რომ ოცდა სამი ოქტომბერი, ეს სოლომონის დღე იყო. ახლა მოისმინეთ ჩვენ მიერ მიღებული პასუხები და დასტკბით.

1) „ბოდიშს ვისდით დიდებული მგოსნის წინაშე, რომ ვერ დავესწრათ მის სამოქალაქო პანაშვიდს, მაგრამ მიღებული მოწოდება ჩვენ საბჭოს კრებაზე გვიწაკითხეს ბატონო. მუშათა და ჯარისკაცდეპუტატთ საბჭოს წევრები.

—

2) „პატონო ეშმაკო! გწუხართ, რომ უნებლიეთი შეცთომა მოგვივიდა. უწყება ჩვენ ქალაქის საბჭოს სხდომაზე გვიწაკითხეს და ჩვენებისაებრ ადარ შეეწუხეთ თავი. თურმე ეს დიდებული სოდომონის დღე დაგვიკარგავს. ეწუხვარ უზომოთ.

თვალისის დემოკრატიულ საბჭოს ხმოსნები.

—

3) „ძეარეესო რედაქტორო! ნუ კაკვიმტეუნებ, ვინაიდან თითოსაც მოგესენდება, რომ „ჩვეულება რჯულთ უმტკიცესია.“ ჩვენ, როგორ თქვენი მოწოდების ბარათი მივიღეთ, კანსაკუთრებული ეურადღება ვერ მივაქციეთ, გაშოტეტებთო, რომ არც წაკვიკითხავს. კვიკოთ ჩვეულებრივს სხდომებზე კვიწაკითხავენ. ამიტომ თავიც ადარ შეკვიწუხებია. იმედია კვიპატიებთ.

თვალისის ეკონომიკურ კომისარიატის წევრნი.

—

4) „ამხანაგო რედაქტორო! გწუხვართ, რომ ჩვენი მოქალაქობრივი ვალი ვერ მოვახდეთ უდიდესი ქართველი მგოსნის წინაშე, მაგრამ კარეშენებთ უბრალო შეტყობინების გამო. ჩვენ კვიკოთ ბარიტულ კომიტეტების კრებებზე კვიწაკითხეთ და ეურადღება არ მიგაქციეთ. ახლა, როგორ საკითხი გამოირკვა ძალიერ კეუხართ, მაგრამ კვიან არის.

თფილისის ეკონომ. და საბჭოს ბარტიული კომიტეტები.

რაღა ვაკვაგრძელოთ და ერთფერიოვნებით თავი შეკაწყინოთ. თითქმის ყველა საზოგადოებრივი დაწესებულებიდან ამგვარი სინანულის პასუხი მოგვივიდა. ყველა თავს იმართლებს: ჩემს სამსახურში მიწვევენ მეგონა და იმიტომ ვერ გამოვცხადდითო. როგორც ხედავთ მიზეზი ფრიად ყურადსაღებია, მაგრამ დანაშაულს ეს ვერაფერს უშველის.

ჩვენ იმედი გვაქვს მხოლოდ დიდებული მგოსნის აჩრდილის სულგრძელობისა. ის ყველაფერსა ხედავს და სამართლიანათ განსჯის ვინ არის დამნაშავე ამ სამარცხვინო საქმეში.

ეშმაკი.

პატარა ფელეტონი

ციეგ—ცხელეგა.

შემოდგომა მიწურულშია.

მზეს სითბო ეკარგება, საქმეს ხალისი.

ყველგან საღი ჰაერი, ჯან მრთელობის მაცოცხლებელი სიო დაჰქრის.

მიუხედავათ ამისა, მთელი ჩვენი ქვეყანა ციებ ცხელებას შეუპყრია. თრთის და კანკალებს ყველა შეგნებული მოქალაქე, რომელიც „არა მარტო პურითა ერთითა სცხოვრობს,“ არამედ ცხოვრებაში რაიმე მიზნებსაც ისახავს.

არ შეშინდეთ, მოქალაქენო!

ეს არ არის ჭეშმარიტი ციებ-ცხელება; იმას არ სჭირია არც ქინა, არც ლოგინზე გდება, არც სოფლის ფერშალი და ტერმომეტრის იღლიაში ღიტინი.

ეს ციებ-ცხელება ერთდროულია. ჩამოიარს, გაიცლის და წავა, როგორც ჰალლეას კუდიანი ვარსკვლავი. ვეშვიმ რომელიმე ჩვენგანი მას მეორეთ მოესწროს.

ეს ცივ-ცხელება საარჩევნო ცივ-ცხელებაა!

დამფუძნებელი კრება!

ოჰ, ძალნო ჯოჯეთისანო! რა არის დამფუძნებელი კრება? ვინ იტყვის რა არის იგი! ჩემის აზრით ის საოცნებო შობის ხეა, რომელზედაც ჭიდია ყველაფერი, რასაც ოდესმე ვნატრობდით რაზედაც ვოცნებობდით.

აი აგერ ერთი ტოტი ნორჩი ნაძვისა როგორ ჩამოუზნექია „აგრარულ საკითხს“. ოჰ რა ძმიმე ყოფილა ეს ღერძი გლეხთა ცხოვრებისა. დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადასჭრას ეს ტოტი და „აგრაული კითხვაც“ ჩამოვარდება და ხელში ჩაუვარდება მას, ვისაც ის განსაკუთრებით აინტერესებს. რა ადვილი გადასაჭრელი იქნებოდა ეს ტოტი, რომ ზოგიერთები ზედ არ ისხდნენ და ჩამოვარდნისა არ ეშინოდეთ! მაგრამ ასეთებიც ხომ არიან?

„ღმერთმან ერთი რიო აცხოვნოს, თუ მეორე არ წარწუმიდოს“!

აი მეორე ტოტს შეხედეთ! რა მშვენიერი სიჩქარი ჰკიდია! ეს დემოკრატიული რესპუბლიკაა! თვითმყრობელობა და უცებ დემოკრატიული რეს პუბლიკა. ეს პირდაპირ მდევის ნახტომია. ეს იმას ნიშნავს, რომ დომხალი სუკის მწვადით შეგიცვალონ, ან დღევანდელი შავი პური ძველებური „ფრაცუნცკი ბულკებით“.

უბედურება მხოლოდ იმაშია, რომ ყველას არც ეს „დემოკრატიული რესპუბლიკა“ აკმაყოფილებს. ზოგიერთს ის მთელად ღუპავს, ზოგიერთი მასზე ოცნებობს, ზოგი მას იქითაც ეპოტინებაკრულია ხალხი, ძმაო მკითხველო, მაგრამ უფრო კრულია მათი ინტერესები.

მესამე ტოტზე, შეხედეთ მესამე ტოტზე რა ლამაზათ გამოსჭვივის „ერთა თვით გამორკვევის საკითხი„. დამფუძნებელმა კრებამ ისიც უნდა გადასჭრას. რუსეთი სხვა და სხვა ნაპრებიდან შეკერილ საბანს მოგვაგონებს. რამდენი ნაპერი, იმდენი ეროვნებაა. რასაკვირველია ყველას უნდა თავისი პიროვნების გარკვევა, ყველას ისე ენატრება თავისი ბედის მოწყობა, როგორც ეს მისთვის საუმჯობესოა.

— თუკი „ყველას უნდა“ მაშ ადვილი გადაჭრელიც ყოფილაო, იფიქრებს ვინმე რეგვენი. (რეგვენი ჩვენ მკითხველთა შორისაც ბევრია, ჩვენდა სამწუხაროთ) ჰაი, ჰაი ადვილიაო! ერთი დამბრკოლებელი მიზეზი რომ [illegible] „ფონი ჩინებულია, მხოლოდ ერთ ალაგას ახრჩობსო“ მოგახსენებენ და აქაც სწორეთ ასეა. მართლაც თავისი ცხოვრების კარგათ მოწყობა ყველას უნდა, მაგრამ სხვისი ცხოვრების კარგათ მოწყობაზე ყველა ერთნაირათ არ ფიქრობს.

არიან ისეთი ერები, რომელთაც თავისი კეთილდღეობისათვის უთუოდ სჭირიათ სხვისი უბედურება. შეიძლება ეს სხვისი უბედურება საჭირო მაინცა და მაინც არ იყოს, მაგრამ იმათ ასე ესმით და თავისს იმედებს სხვის უიმედო მდგომარეობაზე ამყარებენ. მოდი და გადასჭერ ასეთი ძმიმე საქმე. დამფუძნებელი კრებიდან ყველა მოელის თავის სასარგებლოთ გადაჭრას ამ დიდ მნიშვნელოვან საკითხისას.

აი აგერ მეოთხე ტოტზე კოპწიაოთ მოსჩანს „რვა საათის სამუშაო დღე“. ერთი შეხედვით რა უბრალო რამეა. რვა საათის მუშაობა. მეტი რა უნდა ქნას, ადამიანი რკინა ხომ არ არის. ვინ დასძრავს ამის საწინამდეგოთ ხმას? ეჰ, ძმაო ჩემო, რამდენი მტერი ყავს ამ უბრალო საკითხს. მუშა და კაპიტალისტი ამ საკითხს სხვა და სხვა მხრიდან უყურებენ და ის, რაც მუშისთვის სასიერია, კაპიტალისტისათვის სწორეთ ღვთის რისხვას წარმოადგენს. დამფუძნებელმა კრებამ, როგორც იქნება მაინც უნდა გადასჭრას ეს ტოტიც და ვინ იცის ვის გულს გაახარებს მისი მასჯავრი: მუშისას, თუ კაპიტალისტისას!

მეხუთე ტოტზე, შეხედეთ, პატარა წითელი ვაშლი რო ჰკიდია, ის „სინდისის თავისუფლებაა“. ესეც დამფუძნელი კრების საქმე ყოფილა. პირველ ყოვლისა საჭიროა მცირე განმარტება. პატივცემულ დ. კასრაძეს „სინდისის თავისუფლება“ და „სინდისისაგან თავისუფლება“ ერთმანეთში ერევა. ეს კი ერთი მეორისაგან ძლიერ დაშორებული ცნებებია. სინდისისაგან განთავისუფლებისათვის საზოგადოთ არავინ არ იბრძვის და თუ მაინც და მაინც ბევრია მისგან თავისუფალი, ეს სულ სხვა გარემებას მიეწერება. ხრლო რაიცა შეეხება სინდისის თავისუფლებას, აქ პირდა პირ ბრძოლაა საჭირო. ერთი რომელიმე პიროვნების სინდისის თავისუფლება, მეორე პიროვნებისათვის ხშირათ საზარალოა; უმთავრესად „სინდისის თავისუფლებას„ ებრძვიან სინდისისაგან თავისუფალნი. დამფუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნებელმა კრებამ აქაც უნდა სთქვას თავისი სიტყვა და ვინ იცის ვის მხარეს დაიჭერს იგი.

რომელი ერთი ჩამოვთვალო! დამფუძნებელი კრების „შობის ხეზე“ მრავალი სხვა საინდეო საჩუქარი ჰკიდია. ყველა ტოტი საყურადღებოა და ყოველი მათგანის გადაჭრა: ერთს აცხოვნებს, მეორეს წარწყმედს. აი ამიტომაც არის, რომ თითოეულ შეგნებულ მოქალაქეს ციებ—ცხელება აქვს გამჯდარი ძვალსა და რბილში. ყველას ეშინია, და სამართლიანადაც ეშინია, რომ ამ საკითხებში გადამჭრელათ ისეთი არავინ გაძვრეს, რომელიც სხვას მოუჭრის და მე კი ჩაილურის წყალს დამალევინებსო.

რაც უფრო მოახლოვდება არჩევნების დღე, ციებ—ცხელება მით უფრო იმატებს. მიაწვეს კრიზისს და შემდეგ კი გვიანი იქნება.

ვისაც ყურნი აქვს სმენად, ისმინეთ და ემზადეთ ჩვენს იმედებს ფრთა არავინ შეაკვეცოს.

მორიელი.

დამფუძნებელი კრების საჯულ. კანდიდატები

ამიერ კავკასიის საარჩევნო ოლქიდან

რუსეთის ს.-დემოკრატიულ მუშ. პარტიის (მენშევიკების)

სია № 1

1) **ფოკადანია**, ნოე ნიკოლოზის ძე, პირველი სახელმწიფო დუმის წევრი, კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის თავმჯდომარე.
2) **ფერეთიძე**, ირაკლი გიორგის ძე, მეორე სახელმწიფო დუმის წევრი, მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტ. საბჭოთა ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარის აბმანაგი.
3) **ჩხეიძე**, ნიკოლოზ სიმონის ძე, მესამე და მეოთხე სახელმწიფო დუმის წევრი, მუშათა და ჯ.-კ. დეპ. საბჭოთა ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარე.
4) **გეხეთკორი**, ევგენი პეტრეს ძე, მესამე სახელმწიფო დუმის წევრი, კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის თავმჯდომარე.
5) **ზურაბოვი**, არშაკ გერასიმეს ძე მეორე სახელმწიფო დუმის წევრი.
6) **რამიშვილი**, ნოე მესარიონის ძე, კავკასიის გლეხთა დეპ. საბჭ. ცენტრის თავმჯდომარე.
7) **რამიშვილი**, ისიდორე ივანეს ძე, პირველ სახელმწიფო დუმის წევრი.
8) **ჩხენკელი**, აკაკი ივანეს ძე, მეოთხე სახელმწიფო დუმის წევრი. ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრი.
9) **ყარბელე

ეროვნული ბიბლიოთეკა

17) **ალხაზიძე**, რაფელ მათეს ძე, ბზ. „ეროთომის“ რედაქტორი.
18) **ბერაზეფანი**, ერეკ ალოლფის ძე, მასწავლებელი, თფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
19) **ბოლაძე**, ბარტარ სტანისლავის ძე, კავკასიის გზების იურისკონსულტი.
20) **თევზაია**, მიქტორ ვასილის ძე, ჟურნალისტი.
21) **მალაპაზოვი**, აბრამ იონას ძე, ბათუმის მუშ. და ჯარ. დეპუტ. საბჭოს თავმჯდომარე.
22) **მიქიანაკო**, პეტრე ონისიმეს ძე, კავკასიის მუშ. დეპუტ. საბჭოთა ცენტრის წევრი.
23) **ბვარჯალაძე**, კონსტანტინე იაგორის ძე, ექიმი, თფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
24) **აიოლლო**, გრიგოლ გუსტავის ძე, ჟურნალისტი.
25) **ანჯაფარიძე**, გიორგი ნესტორის ძე, ნაფიცი ვექილი, ბათუმის ქალაქის საბ. ხმოსანი.
26) **კოტანეია** – ტორდანია, ანა ივანეს ასული, თფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
27) **მოკანდოკულლო**, ნიკოლოზ სავის ძე, კავკასიის გლეხთა დეპუტ. საბჭოთა ცენ. წევრი
28) **ბაბლოვი**, გიორგი ალექსის ძე, კავკასიის მუშათა დეპუტ. საბჭოთა ცენტრის წევრი.
29) **ფარნიეი**, ალექსანდრე ივანეს ძე, კავკასიის გლეხთა დეპუტ. საბჭოთა ცენტრის წევრი.
30) **ტორაფფოლიძე**, მინდორა ეფრემის ასული, ექიმი.
31) **ნუფაკოვი**, ანტონ პავლეს ძე, მეზანქანეთა პროფესიონალურ კავშირის თავმჯდომარე.
32) **ბერეფოვი**, ბუდდან ჯავიდის ძე, ინჟინერი, ამიერ კავკ. რკ. გზ. ცენტ. კომიტ. წევრი.
33) **ერაძე**, გიორგი პავლეს ძე, კავკასიის მუშათა დეპუტ. საბჭოთა ცენტ. თავჯ. ამხანგი.
34) **ბანეფაჩი**, რაფაილ ხამიას ძე, თფილისის რკინის გზის დეპოს ზენაკალი.
35) **ზურაბიანი**, ალთი დანიელის ასული, მასწავლებელი, თფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
36) **კოზალეოვი**, მიხეილ ანდრიას ძე, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ალ. მასრულებელი კომიტეტის წევრი.

რედაქტორი ჩვენი ჟურნალისა, ბ-ნი ეშმაკი, წინადადებას აძლევს ზემორეამისა მოხსენებულ დამფუძნებელ კრებისათვის წამოყენებულ კანდიდატებს, რომ სამი დღის განმავლობაში წარმოუდგინონ რედაქციას თავიანთი ფოტოგრაფიული სურათები.

წინააღმდეგ შემთხვევაში ბ-ნი ეშმაკი თითონ დახატავს აღნიშნულ პირებს და ნურას უკაცრავად, თუ სიმეტრია სახის მოხაზულობისა მკირეთ დარღვეული აღმოჩნდება.

ვთხოვთ სხვა გაზეთებს, გადაბეჭდონ.

Редакторъ нашего журнала симъ извѣщаетъ гг. кандидатовъ въ Учредительное Собраніе, чтобъ они въ трехдневный срокъ доставили редакціи свои карточки (только не сахарныя или хлѣбныя, а фотографическія).

Въ противномъ случаѣ г-нъ Эшмаки самъ будетъ ихъ рисовать и слагаетъ съ себя отвѣтственность за невольное нарушеніе симетріи лица.

Прошу другія газеты перепечататъ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქურუმთა მოთქმა.

ალარა აქვს გასავალი ჩვენ სიტყვებსა დღესა,
ყოველ მხრიდან უსამართლოთ დევნა დაგვიწყესა.
ალარა სწამთ ხატი ჯვარი არცა სახარება,
ხალხის გულში ღვთისა შიში სულ თანდათან ჰქრება
დაგვეკარგა ნდობა, მრეველში ალარ ვსწავავართ არვის,
ძველი ძალა უფლებებ ხელიდან გვეპარვის.
ეკლესია სალოცავებს არვინ ეკარება,
ისეთ საქმეს ჰქმნიან, ეშმაკს რომ გაეხარება.
რაც რომ ჩვენმა ნიკოს ტახტმა ფეხები ქნა ზევით
იმის მერე ნივთიერად სულ უკან ვიწევთო.
ჯამაგირიც თუ მოგვესპო მოგვეწყობა ხელი,
მაშინ სჯობს, რომ ჩვენივ ხელით გამოვეპრათ ყელი.
ეი ვახ ძმავ რა ღრო იყო ჩვენთვის ის დროა ძველი,
ყოველ მხარეს იყო ?ლომათ სახრავ საძარცველი.
დღეს როგორმე რომ გავბედოთ და ისე მოვიქცეთ,
იმდენს გვცემენ, რომ სიგანეს გაგვიხდიან სიგძეთ.
მაკრატელი ესტუმრება წვერებსა და თმასა,
გაგვკრეჭავენ, არ გაცლიან ერთი სიტყვის თქმასა.
აწ მშვიდობით საკურთხევო. და ორმოცის ცხვარო
კოხტათ მუცელ გაკერილო შამფურზე შეწვარო.
გოკის ხორცო ქათამ-მწვადო სუკო და სათფილო,
ხაპპაურ ო ყველით სავსეე და ნუნუავ ტკბილო.
გატენილო ხურჯინებო, პასკა ნაზუქებით,
დაბრწყინულო ინდოურით, სამთვეს ნასუქებით.
ქორწილ-ქელეს ალაპებზე თამადობა ჩვენო,
ძალზე ჭამა სმა-ქეიფო, კუჭის დამამშვენო,
და ყველაზე უტკბილესო შენ დრამისა ფულო,
უსტრაფნაკოთ, უმთრახოთ, უკვე დაღუპულო.
სანუგეშოს, საიმედოს აწვეღარს ვხედავთ,
და აჯობებს ათას წილათ თუ ხმას გავიკმენდავთ.

ალი.

გესმით ხალხნო?!

ვა, გესმით, ხალხნო, ეს რა ამბავია?! ყველა სელენია, ყველა დერევნია და ყველა მეტეტიკა რომ გოროდი გახდა! ვა, ვა, ვა, ვა, რანაირათ შამოტრიალდა ეს ქვეყნიერება!!! არა მე რომ ტიკეთი ვიბერებოდი, მამალი ინდაურივით რომ ვფარფატებდი, ფარშევანგივით რომ ვბუჟდებოდი, თუ მე ღრაჟდანინი ვარ მეთქი! ?ჩემი თავი ?ღრი რომ ვგონა რაღა! არა, რავიცოდი თუ ეს ღრაჟდანინობა სამკაპიკიანი ტარანივით გაიიფდებოდა! ეხლა მეც ღრაჟდანინი ვარ და ოჭროყანელი მემაწვნილე გიგუაცა! ვა, ვა, ვა, ვა, ღმერთო დაგვლოცა სამართალი!

არა რომ დავფიქრდები, ტვინს რომ ძალას დავატან, ძალიან ღუმიტში რომ ჩავარდები, კინაღამ ტვინის ლიხარატკა შამდის რაღა! კაცო, რაქნეს ამ ახალთაობის ბიჭებმა, ეს რანაირათ შაატრიალეს ცილინდრი? ეს რანაირათ გადმაბრუნეს ქვეყნიერების ვითარების ღერძის კალესო!

არა, ეს თუ გინდა ყველა სელენია გააგოროდეს, მაგრამ ამ ძველ გოროწკოი გალავეებს რას ერჩოდნენ, რომ პანტასავით დაბერტყეს ძირს? ვა, ვა, ვა, ვა, ?რა ?ანგიანი ასტამით აფხიკეს, რა ბოლოშოგლეგილ ცოცხით დაცოცხეს ?ს გალავები! კაცო, სორნი იაშჩიკი სულ გატენილია რაღა ამოტოლა თავებით! პირდაპირ მეხაშის ბაირამია რაღა უფლის მადლმა ?აცვიდნენ დოვლათში ეს მეხაშეები და ყველამდის ლილიეებენ!

ყველაფერს წარმოვიდგენდი: ჩვენი ჰავეტიკა მენაზშირის გაგუბერნატორობას, ტრიაკუას გატერტერებას, ვაჭრის ნამუსს, ჯანდრის სოციალისტობას, გარადოვის პატიოსნებას, ჩვენი არღანჩიკი გეურკას ენტლიმენტობას და თუ მეხაშეები ფულის პატრონნი გახდებოდნენ იმას კი ვერ ვიფიქრებდი! დღეს ქვეყანა მეხაშეებს დარჩათ რაღა! საქონელი ოხრათ და ბეზპლატნათ ჩაუვარდათ ხელში, ფულს მიაგებს, მაშ რა ჯანდაბა იქნება! ვა, ხუმბრობაა ამოტოლა გოროწკოი გალავეები დაცვიდა დამპალი ზღმარტლივით! სულ მეხაშის ხეირია რაღა! თუ აქამდინ ერთი პატარა ცხვრის თავს 2-3 მანეთში ყიდდენ ეხლა თქვენ იანგარიშეთ, თუ რა ეღირება ამდენიხნის ნასუქი თავები, ნაპრიმერ: ტიფლისკი, ქუთაისკი, ბათუმსკი, სოხუმსკი, ოზურგეთსკი, თელავსკი, პეტრეზუბის და მოსკოვის თავები ხომ ცელნი ბაგატსტვაა რაღა მეხაშეებისთვის! აი დაბლი და ფულის მოგება ეხლა იმათ დაიკვეხონ. არა ღვთის წინაშე ქუთაისის თავში კი დიდ ხეირს ვერ ?ნახავს მეხაშე, მაგრამ ესოდენ. იმერეთის დეარინსტვას თითონ თავები ეხოცებაათ სახლში შიმშილით და აბა იმათი ნასუქი თავი რაღა იქნება, მაგრამ მეხაშეებისთვის მაინც ხეირია, მე შენ გითხრა თანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუბანდებიან აი! გადაყრილი საქონელი აკრიფეს და რასაც აიღებენ სულ ხეირია რაღა!

აი ფული და მოგება მითხარი შენ ტიფლისკი თავში. აბა ნასუქი და ჟირნი ის არის აი! იცით რა ფულებს გააკეთებს მეხაშე იმის თავში?! ეე, რას ლაპარაკობთ! ამოტოლახნის სხვისი ოფლით ნასუქი და ნაძღომი თავი შუტკა ხომ აუ არის! რაც იმან ნამესნიკის სახლში საკმელი დაანელა, მარტო იქიდან შეძენილი ქონი და ჟირი ოთხმოცდა ჩვიდმეტ მეხაშეს გაუკეთებს თანხას. თურმე ნიმესნიკის ცოლთან ისე შადიოდა და გადიოდა, როგორც მე ჩემ შუშანიკასთან შავდივარ და გავდივარ. გასუქდებოდა მაშ რა ჯანდაბა მოუვიდოდა. ჰო და მოგებაც ამისთანა კუსოკშია, მეხაშის ხეირიც ამისთანა თავშია რაღა! მე შენ გითხრა მუშტარი არ ეყოლება აი! რას ამბობ, კაცო, სულ ბუზივით დაეხვევა რაც ქვეყანაზე დაშნაკეკანია.

უჰ, მალადეც ახალთაობის ბიჭებო, რომ ეს მუქთახორა ბურჯუები გადმააპინტრიშეთ ტოპლი მესტებიდან.

არა, ზოგიერთი ჩვენი დარდაკი ხალხი რომ გაიძახის თუ: „ახალთაობამ შიმშილოაა ჩამოაგდოვო“ ქრისტიანო, ახალთაობამ რაქნას! ადამპაპას აქეთ ეს გლავა-გლასნები ლიჩნო-სობსტვენთა სპამენ ოთხმოცდა შვიდი გუბერნიის ქალაქების შასავალგამოიავალს და შიმშილობა იქნება, მაშ რა ჯანაბა იქნება!

გოგია



ამხ. ირაკლი წერეთელი.

ეპიზოდი

(ანუ რამდენიმე სურათი თანამედროვე ცხოვრებიდან)

ა

კუპია მანქანა ცხოვრების მბრუნავი:
მომაკვდავ აზრის და სხეულის მკურნავი.
კუპზეა დამდგარი პირუტყვი, ხალხია;
კუპია მთავარი ცხოვრების ჩარხია!..

ბ

წუხელი, როს დავწექ, შიმშილის ლანდები,
თვალთა წინ გამებენ ვით სილა ბანდები.
ფხანკალობს კუპი და შავ ფიქრთა თულებსა,
საბანში მიგზავნის ვით მოციქულებსა.
მიგზავნის ამ ცნობით: თუ ახლა არ წახვალ,
პურის ფინჩხს ვერ ჭამ ვერცა დღეს, ვერცა ხვალ.
მუცელი აგეწვის, დარჩები მშიერი,
წა, რიგში ჩადექი (მიძახის ცბიერი.)
ვფაფხურობ საბანში, მარცხნით, ხან მარჯვნითა,
მაგრამ ფიქწვერა ვსპობ ამ სიმჩრის გარჯითრა.
ჯანაბას! ვიფიქრე მაინც არ მძინავსა:
წავალ იქ ბარემლა, სად ფიქრი ფრინავსა.

ბ

მივედი ფურნესთან... სხვაც იყვენ მოსულნი,
მოხუცნი, ყმაწვილნი, თუ ქალნი ორსულნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლა-აღზრდის საქმე.

პირველი გაკვეთილი.



— პირველი გაკვეთილი ვვრ შესდგება ამბ. მასწავლებელო, ვინაიდან მასსა დაქანცულია წუხანდელი მიტინგის შემდეგ.

მეორე გაკვეთილი.

— უკაცრავათ, ამხანაგო, მაგრამ მეორე გაკვეთილზე გადაწყვეტილია მსჯელობა ვიქონიოთ შემდეგ საათებში მეცადინეობის შესახებ.

ჩავდექი მეც რიგში. ღამეა გვიანი.
(მეორეთ ყიოდა მამლი ხმიანი.)
გათენდა... გაღიო მეპურემ კარები:
ყველამ მას მიაპარო მშიერი თვალები.
მომეცი!.. შენს ღმერთსა. ყვირიან ძალზედა,
თან გვერდებს ჯლიქვებით ერთმანეს განზედა
უზელენ წყვეითა, ლანძღვით და ქოქვითა.
(იქ მიდით მასაჟი ვისაც კი მოგინდა.)
მეპურე ტრიალობს ვით თევზი წყალშია:
„ოჩერედს არ ასცდეთ“ გასძახის ხალხშია.
თანსწორნის უმცხვარ პურს, ნაგვიანს უწინდურს;
(ვინ დედის შვილია, რომ დღეს ის არა სურს?)
ჰა მიველ, ეშველა, ვიყიდე მე პური.
(ვინ უწყის ამომცხეს რამდენი პანღური.)
მოვიოცხე შინისკენ, დაღლილმა, მშიერმა,
გადამკრა სახეზე იმედის იერმა...

დ

მივირთვი საუზმე, მაგრამ მტერს სადილათ
ჭირში მე შევეცარე უნდა ვთქვა ნამდვილათ.
ამტკივდა მუცელი, ამტკივდა ისე რო;
„ხარაკირს“ ვაპირებ, მსურს დანით ვისერო.
არიქა!.. მოუხმე მეგობრებს საჩქაროთ
ეგება როგორმე ექიმთან მიმგვარათ:
გავარდენ ეტლისთვის მაგრამ ვის სცალია?!.
მაშინვე წაუხდათ ცხენებსა ნალია.
მაშინვე გასცვივდა რეზინა ბორბლებსა,
მაშინ ჭყრის მეეტლე გინებით დორბლებსა.
ექიმთან ცხენებსა არ ძალუძთ ფხაკური:
ვერ წვავალ თუნდ ოცი ამომცხონ პანღური...
ამბობს ის: ლანძღვითა და ბიჯსაც არ ადგამს...
მაგრამ ჰა დახედეთ სასწაულს ამავ წამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლა-აღზრდის საქმე.

მესამე გაკვეთილი.



— უნდა მოგახსენოთ, ამხანაგო, რომ მესამე გაკვეთილზე მოლაპარაკება გვაქვს დანიშნული სასწავლებლიდან თქვენი გაძევების შესახებ.

აგერა, მოგორავს ეაპარი მორგვივით,
მას ფული ბევრი აქვს, მტაცებლობს ორბივით.
—„იზვოშჩიკ!“ იძახის და ეტლიც ჩქარია,
იმისკენ მიჰქროლავს ვით ნიავ ქარია.,.
ვირბინეთ აქეთა, ვირბინეთ იქითა,
ოჰ ღმერთო! სწავლავს დავლეგდი ჭიქითა.
ამტკივდა მუცელი, ამეწვა წელები
საშველათ მეგობრებს ჩავეიდე ხელები.
ვუთხარი: აბა ჰა! ნუ დამდებთ შარადა,
ამწიეთ, ექიმთან წამიღეთ ჩქარადა.
ამწიეს... სიმწრითა დავხუჭე თვალები,
და ნაცნობ ექიმთან შეაღეს კარები...
და ვაი აქაც, რომ ოჩერედებია;
ვინ მკითხავს საბრალოს თუ სიმწრით ვკვდებია.
მაგრამ ეს ჩემ ბედათ კეთილი მხლებელი
შევიდა ექიმთან სულ საცხონებელი
ექიმმა მუისავე აცსქვიტა ყურები,
რა ნახა მოყვარე და ნამსახურები.
—რაზედა გარჯილხარ ამხანაგ თემურაზ?!.
ექიმმა ზრდილობით შეჰკითხა მუისვე მას.
—აგერა ამხანაგს ჩემს ძვირფას ირაკლის
მუცელი ასტკივდა. – სად არის ახლა ის?!.
—აქ გახლავს გეთაყვა თქვენ გიცდის გარეთა.
—რას ბძანებ, ახლავე შინ შამოძგვარეთა
მუისვე შინ მიმიღეს, დასწერა რეცეპი.
მე ვიური ვითარცა დაპრილი მხეცია.
—პირველათ. მითხრა მან: მიიღებ, სლაპიტელს,
და შემდეგ რძით, კვერცხით, შეეწყობ შენს
ეუპს ხელს.
მუის დავეშვიდობეთ და აფთიაქშია,
შევედი თან ხელით მიპირავს ფაშია (?)
მივეცი რეცეპტი, ვუთხარი:—ნათლია

დაიტე „სლაპიტელ“, მიშველე მადლია.
„ნიეტუ!“ მიძახის, და ელდა ჩემს გულსა,
მოედვა ცეცხლივით კაეშნით შეკრულსა...
გამოველ, ვეძიე და ერთი ყლაპია;
ვერ ვპოვე. ვფიცავარ თუ წვერი მაბია!..
მიველ შინ, დევემხვე საბანზე მწუხარე;
თვალებზე მდიოდა ნაკადი მდუღარე.
მოვიდა ბაბია შემხედა, შეშფოთეა,
—ჰა შვილო, ირაკლი რა იყო რა მოხთა?!.
მეც უთხარ:—პურისგან მაქვს მუცლის ტკივილი.
მან ეს რა გაიგო, დაიწყო კივილი.
დამიწვა პური და გალესა ხელათა,
(ექიმი ამ გვარი თქვენ ჰპოვთ ძნელათა.)
თან მოყვა ლოცვებს, სხვა და სხვა ნაირსა,
ისე კი აწყობდა ვით შოთას შაირსა.
ამ გვარათ მივლიდა ის დიდებულთა...
ორ კვირას მან თითქმის გამკურნა სრულათა...

როკოკო.

ეპილოგი

იმ პურმა ატკინა, მუცელი მრავალსა;
ექიმთან ნახავდით ბევრს მისგან მავალსა.

რო—კო.

ფოთი

(ბუტუნას საგენტო)

შესდგა ინტერპარტიული, **„ყომარბაზთა საბჭო“**. წარმომადგენლებათ, გარდა პარტიებისა, რეოლიუციურ დაწესებულებებიდანაც შედიან:

1) ქალაქის ხმოსნებიდან 3 წევრი.
2) მ. ჯ. საბჭოს აღ. კომიტეტიდან 2.
3) ს. დ. კ. 3.
4) ს. ფ. კ. 1.
5) ნ. დ. კ. 1.
6) პროფ. კავშირიდან 2.
7) ვაჭართა კავშირიდან 2.
8) (მუშათა არტელების წარმომადგენლები) ნავთსადგურიდან 2, მარგანეციდან 1.

საბჭო ფრიად შესაფერი წევრებისაგან შესდგება და ადგილობრივ ყველა დაწესებულებებზე უფრო ენერგიულათ და სისტემატიურათ მოქმედებს. კრებები ყოველ საღამოს იმართება; მონაწილეობენ მუდმივი ბინის უქონლობისა. ი შვიათია შემთხვევა კრებაზე წევრების დაგვიანებისა, ან დაკლებისა. საბჭოს არსებობის მიზანია ქალაქს შეუფსოს ის დანაკლისი, რაც მ. და ჯ. საბჭოს „შეუფერებელ“ დადგენილებით: (კარტის თამაშის და ლოთობის აღკრძალვით) არის გამოწვეული. აღნიშნულ საბჭოს საშუალებით ყველა პარტიის კავშირების და დაწესებულების წევრებს შეუძლიათ თამაში და ლოთობა, ხოლო ასეთი სასტიკათ აღკრძალული აქვთ უპარტიო და არა „საზოგადო მოღვაწეთ“.

წესდება საბჭოსი შემდეგია: ყოველ წევრს ყველა კრებაზე შეაქვს საწევრო გადასახადი 100—500 მანეთამდე; (მიიღება ფულების მაგიერ საქონელიც მაგ. შალეულობა, საათი, რევოლვერი და სხვა,) ხოლო ვისაც საწევრო არ ეძნება, ან კრების დროს „ოპერაციაში“ უთავდება, საჩქაროთ ამ ევენ ბენ კრებიდან, რაც სამართლიანად იწვევს თეფშ ბის, სასანთლეების და თვით სათამაშო ქაღალდებ თავმჯდომარისაკენ მიდრეკილებას.

შენიშვნა. თავმჯდომარეს კრება არ ირჩევს, რადგან თამაშის დროს უკეთ ირკვევა ვის ეკუთვნ თავმჯდომარეობა.

ხმები დადის: ზოგიერთი წევრები თავს ანებ ბენ აღნიშნულ საბჭოს, რადგან საწევრო გადასახადი, არც ფულათ, არც საქონლათ და აღარ „კრედიტის“ სახით არ მოეპოვებათო.

———

p. s. ჩვენი საგენტო აღნიშნულ საბჭოს წევრების საყურადღებოთ აცხადებს, რომ უკეთუ რომელიმე მათგანი ამ ცნობით, თავს შეურაცხყოფილად იგრძნობს და საყვედურებს დაიწყებს საგენტ მიმართ, საგენტო უფლებას იტოვებს **სახელ-გვ რებით გამოაცხადოს** აღნიშნულ საბჭოს ყველ „მოღვაწე“ წევრები.

———

იქიდანვე. რადგან სკოლის ნაციონალიზაცი მიზეზით ადგილობრივ სასწავლებლებში მასწავლ ელთა შტატი ჯერ ვერ მოსრულდა და ამით მ ცადინრობაც ფერხდება, მოწაფეთა გასართობ ერთმა ცნობილმა მებილიარდემ იშოვა ნებართ დღემდის დახურულ ბილიარდის გახსნისა, სად დიდ ძალი ახალგაზრდობა იყრის თავს.

———

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან ნაკოსადგურის მუშებს ხშირად სამხედრო მდგომარეობით ცუდ პირობებში უხდებათ მუშაობა „ამით მდგომარეობაში“ შევიდა ადგილობრივი ჯარის კაცები და ხშირად „ეკლესიებიან“ მუშებს შრომაში და შრომის ნაყოფის განაწილებაშიაც.

———

პალიასტომის მეთვეზე მუშებს ამავე მიზნით სამუდამო „თავისუფლება“ მიანიჭეს ჯარისკაცებმა და თვითონ იკონრეს ამ ძმიმე მოვალეობის შესრულება ამ ზამთრის სეზონში, რასაც აგერ ერთი ხანია პირნათლად ასრულებენ.

———

ხე ტყის ქარხნის მუშებსა და მეპატრონეთ შორის ვერაფერი გააწყო მომრიგებელმა კომერამ, მუშებისაგან წამოყენებულ მოთხოვნილებაზე. რადგან წარმოების მხრივ ხაზეინებმა „დამტკიცეს“ კრიტიკული მდგომარეობა, ხოლო მუშებმა შრომის პირობების აუტანლობა, მომრიგებელმა კომერამ „მოლა-ნასრედინის“ კანონით ორთავე მხარე გაამართლა და ხე ტყის წარმოების შეჩერებას უნებლიეთ დაეთანხმა.

წერილი „გურულ ბიჭს“!

(ახალგაზრდა მასწავლებელისაგან)

ძვირფასთა, უძვირფასესო, მშვენიერთა, უმშვენიერესო, ტანადო, ტლანკო, უნდომო და კეთილო „გურულო ბიჭო“! გისურვებ ყველასფერს და თან მადლობას გწერავ ჩემი მოკითხვიზა, ღმერთმა, მისი შუბლის ჭირიმე, ადრინდ ოთ მოგიკითხოს. სანამ წერილს მოგწერდე მინდა გაგაცნო რისთვის ვიკადრე შენთან წერილის მოწერა, რისთვის გაგბადე ასეთი უსაზღვრო ბედნიერი. ერთ მშვენიერ, პოეტის საოცნებო, მოღრუბლულ, მოხუშულ და ქარიან ღამეში, ვესტუმრე ერთ ამხანაგ მასწავლებელს, რომელიც საუცხოოდ არკვევს პოლიტიკურ კითხვებს. და, რომელსაც მოსდის ყველა ქართული გაზეთები: „ივერია,“ „კოლხიდა,“ „ცნობის ფურცელი“ და ჟურნალი „კლდე.“ აქვს აგრეთვე ყველა პოლიტიკური წიგნაკები, გამოცემა ალექსანდრე შახბაზათოვისა ფოთში. საბედნიეროდ ჩემი ამხანაგი, პოლიტიკოსი სახლში არ დამხვედა და უნდა დამეცადა მისთვის. ამ დროს, მაგიდაზე თვალი მოვატანე ფართო ფურცელზე დაწერილს „ეშმაკის მათრახს.“ უნდა გითხრა ძმაო სიმართლე მისდღემში არც ეშმაკი და არც მისი მათრახი არ მეწახა და ერთი ისეთი შეკარდი მაღლა შიშით რომ, პრისუტსტვიის სეკლეტარს რო დავენახე ჩემს ასტროჩქის ბილეთს ფურთხაშ ფურთხაზად გამიხდიდა და მე უბედურს ზე-კეკალ გერმანიეს ფრონტზე გამაჩიქჩიქებდა, ეგეც რიგა დაატოვებიოსო. გული შიშით ისე მიხტუნავდა, როგორც სამი კვირის ბავეი. ბოლოს როგორც იყო დაეშვიდი... ის კი არა იქამდისაც კი გავთამამდი რომ, თანდათან მივიწევ იმ „ეშმაკის მათრახისაკენ.“ გული ვთქვი: მართალია, ეშმაკისა და მისი სამშობლო ჯოჯოხეთის ყველას კი ეშინია, მაგრამ მე მაინც ტყვილი ვარ ისეთი მოყვანილი ვეტაკი მეთქი, ნუ თუ ტყვილი ვატყუოლებდი ყოფილ ჩემს ქვანქვალია მარუსიას კარგი ბიჭი ვარ და რეოლიუციონერი მეთქი. გამახსენდა აგრეთვე, ქართველი ერის სიამაყის, ცხონებულ სოლომონ ზურგიელიძის სიტყვა: „კაცი ისე არსად ვარგის თუ არ არის გამბედავიო“*) უცბად ესტაცე ხელი „ეშმაკის მათრახს„ № 41. გადავშალე თუ არა, ამოვიკითხე: „წერილი ახალგაზრდა მასწავლებელს.“ ბიჭოს! მასწავლებელს სოფლის მწერლების და მღვდლების გვეშინოდა და ეშმაკთან ვინ მიბედა აწითქვა, მაგრამ უცებ მეორე გულმა მითხრა: შესულელო, გემნაზიის მასწავლებელს თუ წერენ თვარა სოფლის მასწავლებელიზა ვინ ეიტკივებდა თავსო და შევჩერდი. დავაკვირდი კარგათ, ამოვიკითხე: „ძვირფასო ძმაო ცეცე!“ გეგეგონე ჩემი სახელი თუარა, სიხარულით, ერთი კი დავიძახე: დედაია შენი ჭირიმე მეთქი... და ბრეგვა გავაყენე პოლზე. ორი საათის შემდეგ, ცოტათ მოვედი გონზე და შევამჩნიე, ვიღაცა ცხვირის წვეს მიწკენდა. გამოვახილე თვალი, დავინახე ჩემი პოლიტიკოსი ამხანაგი მასულიყო. იმ შერცხვენილს თავზე წყალი გადაევლო და ჩემი ხუკუტა თმა, რომელიც ბერსელა ბალახივით იყო მაღლა აჩიჩქნებული, ზარმაც პატარძალივით გადაწოლოდა თავის კანს. შევისვენე ცოტა. გამახსენდა ძმაო, ერთხელ სემინარიაში მეორე ჩეთვერში მე და შენ რომ ანგარიშში უშე-

*) გეკვნობთ ეს სოდომონის სტილი იყოს

მორიელი.

ლებელი კუდიანი ორი მოგვიწერეს, ერთხელ მაშინ რაღამ მოვკვდი მეტის მეტი სიხარულით და მეორე ეხლა. ისიც გამახსენდა ერთხელ ცხონებულმა ბებიაჩემმა რუზდანამ მითხრა: ჩემი ქმარი მახარებელიე მამაშენი რომ შეგვეძინა მაშინ გარდაიცვალა მეტის მეტი სიხარულითო და მოვყევი პიჯვრის წერას. მსგავსი:ლი შეესწორე ახლად არჩეულ ქათალიკოზს, რომ მის ფეხადმობაზე გადავრჩი. ამიერიდან თავს ვანებებ სოციალ- დემოკრატობას, რადგან იგენმა გოუტეხა სასულიერო წოდებას სახელი თვარა იმათი მადლი კი წყალობს ჩვენს სამშობლოს. ტყვილად არ სტირის გაზ. „საქართველოში“ ხიდისათაველი ღ. კალანდაძე. გურულებმა მღვდლებიც მოიძულეს და ღმერთიც დაივიწყესო, სუფველა სოც. დემოკრატების ბრალია. ჰოდა ასე, ძმაო „გურულო ბიჭო!“ ასე გამახარა შენმა ეშმაკის ხელით გამოგზავნილმა წერილმა და რომ არ გიპასუხო სულელს დამიძახებენ. შენი წერილი ძმაო რამოდენიმე ნაწილისაგან შესდგება. წერილის პირველ ნაწილში შენ შენს თავს ახასიათებ და სწერ: „მე არც რეაქციონერი ვარ, არც რევოლიუციონერი; არც პროვოკატორი ვარ არც აგიტატორი-“ო. შენ რო არასფერი არ ხარ და არც იქნები, მაგი მე კარგი ხანია ვიცი და ტყვილა დაგიხარჯავს მელანი. თუ მაინც გინტერესებს, მე უნდა შემეკითხო, როგორც სახალხო ლამპარს, თუ როგორ პოზიციას ვიჭერ. მე ძმაო ზემოთ ვახსენე ჩემი ამხანაგი პოლიტიკოსი. ის მართლაც დიდი თავის პატრონია. აიღო მან ყველა რუსეთში მომქმედ პარტიების (გამოკლებით კადეტებისა, რადგან პოლიციის წინააღმდეგი იყო) პროგრამები, შეაერთა შეადუღა ერთი მეორეს და მიიღო დიდი უშველებელი, ეგრეთ წოდებული, „ზავის პარტია,“ რომელმაც ლამის არის ქვეყანა დაიპყროს. ვისაც ზავი სურდა ამ დასავლეთ საქართველოში, ყველამ მეორე დღესვე თავი ამოყვეს „ზავის პარტიაში.“ დავრჩი მარტო მე, თუმცა ზავს პრინციპიალურათ არ ვეწინააღმდეგები, მაგრამ ძალიანი ხათრი მაქვს სტამბოლის სიმდიდრის. ძაან გავმაგრდი, მაგრამ ერთ დღეს, როცა ჩემმა მეზობელმა ვახუშტამ მითხრა: რა გიჭირს ბიძია, დანავარდობ, ჩემ ბიჭებივით რომ აკობებში გეფორთხებია გულით, მაშინ კიარ იქნებოდი ზავის წინააღმდეგიო. შემეშინა, მეზობელმა რომ მიქნას მართლა გამგზავნიან ფრონტზე მეთქი, ავდექი და ჩავეფარეთ „ზავის პარტიაში“ სადაც თითქმის, ბელადობას ვჭიმულობ. პროფესია როგორ მოგწონსო რომ იწერები მადლობა ქათალიკოზს, ჯამგირი ზორბათ გვაქვს, 100 მანეთი ეხლა მოგვიმატა ჩვენმა დროებითმა მთავრობამ და მეტი სოფლის მასწავლებელს კი რა თბილისის ქართულ გიმნაზიის მოსამახურეებს არა აქვს. სემენარიაში ყოფნის დროს ხალხის ბამსახური რომ დაისახე მიზნად რას შვებიო რომ სწერ, ხალხს ვემსახურები კიარა კიდევ მეტი: ჩვენში უჩემოთ ერთი ადრესიც არ დაწერილა ჯერ. მერმეთ შე შერცხვენილო იმას მაგონებ, მარუსიე გიყვარდაო, რას მეკინი, შენ მაქ ხარ და ის კი არ იცი, რომ ქუთაისში შენი თამრო პრაპორჩიკებს სულ ებმეკის და ეჩხუბება. ბოლოს მლანძღავდა აფრიკაში მცხოვრებ მწერს „муха цеце“-ს მიწოდებ. არ გრცხვენია? განა მე რომ შხამიანი კბენა შემძლებოდა, 3 სექტემბრის მასწავლებელთა ყრილობაზე, ყალბ მანდატიან ფედერალისტებს თვალებს არ დოუსიებდი? მარადის შენი გულთადი მტერი, ორგული, ამხანგი და მოქალაქე:

—ცეცე.—

დეპეშები.

დაბა ჭრებალო (ლეჩხუმის მაზრა).

ამა წლის 27 თებერვლის აქეთ, დღიდან ნიკოლოზ მეორის ტახტიდან გადმოგდებისა, „აზნოური“ ყარამან ყიფიანი ცოტა—ცხელებამ შეეპყრო. საზოგადოებამ დიდი ზომები მიღო: ბევრ გამოჩენილი ექიმების წამლები ახმარეს, მაგრამ ვერ რაფერი უშველა. ბოლოს იძულებული შეიქნენ თვით „აზნაურ“ ყარამანს—შეკითხებოდენ როგორც ძველ „ნაპრისტავებს“ იქნებ თვითონ სცოდნოდა რამე,—მანაც მოკლეთ უპასუხა:—

„ჩემო მეზობლებსო, ტყუილათ წვალობთ, ჩემ წამალი ის იქნება, „ძველი დრო“ მობრუნდეს და ერთხელ კიდევ ჯავრი ამოვიყარო დღევანდელ ახალი თაობის მომხრე ხალხზე როგორც 1905 წელს“

საზოგადოება გთხოვთ, ბ-ნო ეშმაკო ნება დართოთ აზნაურს კორნილოვს წერილი მისწეროს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება ამით სიცხემ დოუკლოს, თორემ სანამ კორნილოვი მეორე გამოსვლებს მოაწყობდეს და ამის გულს გაახარებდეს შეიძლება ტვინის ანთებით აკი რამ შეემთხვას და სიძვირის გამო საზოგადოებას შეძლება არ ექნება ის გაასვენოს.

—

იქიდანვე: ჭრებალოს სამკითხველოში ვერც გაზეთები ჩერდებიან და ვერც ვამგე. მიზეზათ ასახელებენ ახალ ღვინის „სუნს“. თურმე მახჩჩობელა გასსავით მოქმედობს.

—

იქიდანვე: ბ.—ს.—ძე. თხოულობს 16 საათის ვადას რომ კარგი ნაციონალისტი გახთეს; მიზეზათ ასახელებს: სანამ სოციალ დემოკრატი ამხანეგები წავლენ წამოვლენო.

—

იქიდანვე: აქ გაიხსნა პირველ—დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი. ძლიერ სასიხარულოა, მხოლოდ სავალალო ის არის, რომ სრული „დემოკრაციაცია„ არ შეიძლება მოხდეს ვიდრე 100% განათლებული გლეხი არ იქნება, სოფელში.

—

იქიდანვე: სოფელს ტოლას. უმწვერვალესამდე მიაღწია კულტურულმა განვითარებამ. ძველი ტრადიციული ტირილი ერთხმით მოისპო. პირველი „ინიციატორი“ ალექსი—ცხვირავაშვილის ოჯახმა-გამოსცა, თვით ალექსი მოკლეს თავის ოჯახში, ძმის ქორწილში მეორე დღეს სანამ დაასაფლავებდენ ლხინი არ შეწყვეტილა. იმედია სხვა საზოგადოებები წაბაძავენ.

მაკენზენი *)

წერილი ქალაქ ასალსენაკიდან.

ჩვენს რევოლუციონურ ქალაქში რევოლციონური წესრიგია: კომიტეტები და კომისარები, კომისარი და კომისარიატები, მილიცია და მილიციონერები, კონფისკაცია და რეკვიზიცია, რევოლიუცია და როზოლიუცია, საბჭოები, პარტიები და ინტერპარტიები, სოციალიზაცია, მუნიციპალიზაცია და ინკვიზიცია ყველაფერი თავის ალაგას არის.

*) რასაკვირველია ჩვენებური. ეშმაკი.

მეოთხე გაკვეთილი.



— ჩვენ დავადგინეთ თქვენი გაძევება გიმნაზიიდან ამიტომ რა თქმა უნდა, მეოთხე გაკვეთილი აღარ გექნებათ.

მხოლოთ კოკლობს სოციალიზაცია. მაგალითათ არის საგნები, რომლის სოციალიზაციის მომხრეთ გამოვლენ აქაური სოციალ-დემოკრატებიც—ასე გადმოცა აქაური კომიტეტების მუდმივმა თავმჯომარემ, რომელიც ამ დღეებში ბათომს გაემგზავრა ფესკების საყიდლათ. ყოველ შემთხვევისთვის!

არ შეიძლია შენიშვნა არ გაუკეთო აქაურ რეკვიზიციას: აბა როგორ არ მოვახსენო ამხანაგ ეშმაკს ის გარემოება, რომ 277 ცალ ჩოხას უყვეს რეკვიზიცია ჯერ კიდევ აგვისტოს პირველ რიცხვებში, მას შემდეგ ვერ მოიყვანა ეს, თუ არ მოიყვანა ეს სისრულეში აქაურმა სასურსათო კომიტეტმა; ბოლოს ისე მოხდა, რომ ამ ოქტომბერს კენჭობითი გაყიდვა დაუდგენიათ ამ ჩოხისა ჩოხის პატრონებს და ბოროტი ენები ამბობენ—ამ საქმეს „ჩიმბასქნეგბა“ ყრუაშვილს (ჩოხის პატრონს) ბარე ორი-სამი ასიანი დაუჯდაო. ვაი ჩქმი ცოდვა!..

აგრეთვე არა აქვს თავი, თავ-თავის ალაგას აქაურ ქალაქის თავს. კომიტეტები და კომისიები

ცდილობენ ეს თავი თვის ალაგას მიიბან. ძლიერ ვწუხვარ საყვარელო ეშმაკო, რომ გამოგრჩა ამ საუცხოვო თვის მოხაზულების გადატანა „ეშმაკის მათრახის“ გვერდზე სოლომონ ზურგიელიძის არხივარიუსის გორიზონტალური ბულანდეესთან ერთად. რევოლუციონური ქალაქის „**რევოლუციონური**“*) თავის უპირველესი ღვაწლი გახლავთ, ბრძოლა აქაურ „ღორების პარტიასთან“, რომლის მთავარი კომიტეტი იმყოფება ქ. ნახუტუროვში („ფოთის გუბერნია“) და საიდანაც პირველათ ჩვენკენ გადმოიტანეს თავის მოქმედება (იხილე „ეშმაკის მათ.“ № 41-8/x-17, წერილი ფოთიდან.) აქაურ თვითმართველობასთან ღორებმა ბრძოლა გამართეს თვით კორნილოვის გამოსვლამდე. ქალაქის საბჭომ დიდი თათბირის შემდეგ ვადა მისცა ღორებს 15 აგვისტომდი, მაგრამ აქაურმა მთამა პარტიამ კიდევ მისცა ღორებს ვადა 15 სექტემბრამდი. დადგა 16 სექტემბერი, გვეგონა თავისუფლათ ამოვისუნთქავდით, მაგრამ ვაი ჩქინი ცოდა, არ იქნა და არა! ქალაქის ბალში—სადაც ქალაქის თავი და კომიტეტების თავმჯდომარე მიირთმევენ ჩაის, ღორების ჩოჩქოლია: აქვე მათ კომიტეტს გაუმართავს კრება და არის ერთი ღრუტუნი, ხრუტუნი. მათ კიდევ მიეცათ ვადა 15 ოქტომბრამდი. ჩვენ რწმენა დაგვეკარგა! — გამოვა რამე?.. ქალაქის თავი ძლიერ შეწუხებულია, იგი ამ დღეებში თფილისს გაემგზავრა პირდაპირ ეშმაკთან, ან ღორები მოგვაცილონ, ან ჩვენ „ტყეში გადავიხვეწებით ცოლშვილიანათო“. (სხვათა შორის 7191 წელს ბიქტორ თეკლათელიძე ურჩევდა ამ ზომას კოლხიდელებს სპარსელების შემოსევის დროს და როგორც ისტორია გადმოგვცემს გაუქრია). ეი ასეთია აქეთ მდგომარეობა.

სხვა ყველა კომიტეტები ძლიერ ყოჩაღათ არიან, რომელთ უპირველეს დახმარებას რეზოლუციები აძლევენ. მხოლოთ ამ დღეებში სული დალაფა აქაურმა ქალაქის სასურსათო კომიტეტმა. მის ალაგას ჩამოვიდენ „ვარიაგები“ [illegible] შემწეობით გვარიანათ მოწესრიგდა საქმეები. ბოლოს ხელი შეუწყო სასურსათო კომიტეტის საქმეების მოწესრიგებას, ამ დღეებში დაბადებულმა სამაზრო სასუსათო კომიტეტმა, რომლის გამზრდელი—გუვერნიორათ ქალაქ ბაბიდან (სუxუნის გუბერნია) გამოწვრილი ჩვენი კაი ამხანაგი ლუკა დავითიანი.

„ვაი ჩქინი ცოდა,
სანაკური ბოგა!
ეეეშ გოლა მადალე—
მასალდათო ვამალინე...“

(თარგმანი ეშმაკისათვის: „ეშმაკმა მეორეთ არ დახატოს მეგრელები თუ არა მათრახს მოვუპარავთო.)

„**ოჩკოჩი**“*).

რას ამბობენ?

(ქ. დუშეთი).

II

ამბობენ: დუშეთში ვაჭართა წრეთა.
მიტინგი, კრებები, აქეს ყოველ დღეთა.
თუ როგორ გაყვლიფოს ხალხისა ჯიბეთ,
თუ როგორ დახლართოს ცხოვრების კიბეთ.
არკვევენ და აშუქებს დახლისა საქმესო,
ამისთვის აერთებს დღესა და ღამესო.
დუშეთი განიცდის სიმშილს და ტანჯვასა—
ვაჭრები ადგენენ ჯიბისთვის ტაქსსა.

*
* *

ამბობენ: დუშეთში ორია კლუბია.
(რომლებშიც ყოველ დღე იმართვის ჩხუბია).
არავინ არ იცავს დადგენილ წესსაა,
და ძლიერ აწუხებს მშრომელ ხალხს ესაა.
არშიყთა გვარდია იქ იყრის თავსაა.
ტრფობისა ღიმილი ლაღად შლის ფრთასაა.
კულტურულ სჯა—ბაას ადგილი არ აქვსო,
(დუშეთი თან და თან ნიავ—ქარს მიაქვსო).

ვაგნელი ბზიკი.

---

*) „რევოლუციონერი“ აძულებული ვიყავი ჩამესვა ბრჭყალებში ამიტომ, რომ „შეურაცეოფს“ არ მომეყენებია ქალაქის თავისთვის, ვისაგან მას ეოველნაირი რევოლუციონური (ან სოციალისტური) ნაბიჯი მიაჩნია ისეთ უტოპიათ, როგორც მაკადიათ, ამს. ეშმაკის თათბირი ბლანკეტებთან. აწი შეთხვევისთვის მომნდგეს იმის გამორკვევა რამდენათ მართალი ვეოფილვარ მე...

*) როგორც ვავიგეთ, აქტორი ამ წერილის სოლომონ ზურგიელიძის მორეული ნათესავია, რაც უფრო აკარათ მისს ლექს ტეეობს. ეშმაკი.

საჩქარო დეპეშა.

ბათუმი. დასრულდა გადამალული საქონელის კონცენტრაციის პროცესი. ამ დღეში დაიწყება დიფერენციაცია.

კახი.

ქალ. ოზურგეთშ

ეროვნულ—დემოკრატების (მასსიური კრება.)

ორშაბათს, 2 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, ოზურგეთის ახალ თეატრში შესდგა ადგილობრივ ეროვნულ დემოკრატთა მასსიური კრება. კრებას დაესწრო დიდი ძალი საზოგადოება: გერმან და რუბენ. თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ბატონი რუბენ. ჯერი მიდგა მდივნის არჩევანზე. ასახელეენ ბ. გერმანეს. ისმის უმეტესობათ გადის (ერთი თეთრი, არცერთი წინააღმ-დეგ).

დღის წესრიგში განსახილველი იყო შემდეგი ფრიად მნიშვნელოვანი კითხვები: 1) მოხსენება პარტიის მოქმედების შესახებ და წევრთა რაოდენობა. 2) ლექციების მოწყობა. 3) ფართო პროპაგანდა და 4) არჩევნ'ი.

მოხსენებას პარტის მოქმედების შესახებ აკეთებს ბ. რუბენ. მოხსენების დროს ორატორი მეტის ზეთათ აღელდა, რამაც გამოიწვია კისრის ღლასტუკის ჩამოგდება. სხვათა შორის მომხსენებელი ამბობს: როცა ჩვენ ეროვნულ დემოკრატიული პარტიის იდეია ფართო მასსაში გავავრცელეთ, იმედი ვქონდა, ოზურგეთის განათლებული საზოგადოება განსაკუთრებით მდგდელები, ვაჭრები და ჩინოვნიკები ჩვენს პარტიას მოაწყდებოდა. ნაცვლად წინააღმდეგი მივიღეთ: ასეკ ერთი ჩინებული მოქალაქე ჩვენს პარტიაში არ ჩაწერილა. ამ ჟამათ ჩვენს პარტიაში ირიცხება ორი ამხანაგი. თუ კრების სურვილი იქნება იმათ სახელებს წავიკითხავ. ესენი გაგლაგს, ბატონებო, რუბენ დი გერმან. ეს ორი მოქალაქე ბრირათ მართვენ კრებებს, ხალხიც ბლომათ ესწრობა. შემდეგ უნდა მოგახსენოთ, ბატონებო, რომ წევრების ჩაუწერლობამ თავისი ნებით, ამ ბოლოს, მიიქცა ზოგიერთისთვის „ბალოში და ქესლის რეზინა“ საჩუქრათ შემეძლია, რომ ჩაწერილიყვენ ჩვენს პარტიაში და რამოდენიმეს თხოვნაც კი გაუმზადე სხვა პარტიდან ამოწერილიყო. სამწუხაროთ არაფერმა არ გასჭრა. ეხლა სხვა გზას უნდა დავადგეთ„....

შემდეგი საკითხის შესახებ გერმან მოითხოვს, რომ აირჩეს ლექციის მომწყობი კომისია ორი კაცისაგან შემდგარი და ასახელებს რუბენს, რუბენ სავსებით ემხრობა და მეორე წევრათ ასახელებს ბ. გერმანს. ამრიგათ აირჩიეს რუბენ და გერმან. შემდეგი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ბ. გერმანე. დასკვნა მისი მოხსენებისა შემდეგია: „ბ. რუბენშა გაიღოს რაც შეიძლება მეტი „ბალოში და რეზინა და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი პარტიის წევრთა რიცხვი საშინლათ გადადებაო“. უკანასკნელ საკითხად იყო არჩევნები ასარჩევი გახლდათ პრეზიდიუმი და სარევიზიო კომისია. ამის შესახებ მოხსენებებას აკეთებენ რუბენ და გერმან. კენჭის ყრის შემდეგ ხმის უმეტესობით გავიდნენ, პრეზიდიუმში: რუბენ და გერმან. თავმჯდომარეთ ბ. გერმან მის ამხანაგათ ბ. რუბენ. მდივნათ ერთხმად აირჩიეს ბ. რუბენ. მოლარეთ გავიდა რუბენ. სარევიზიო კომისიაში გავიდენ ხმის უმეტესობით: რუბენ და გერმან. მათ კანდიდატებათ: რუბენ და გერმან. დაბოლოს აირჩიეს მუდმივი კორესპოდენტი ბ. რუბენ და მის ამხანაგათ ბ. გერმან. კრება დაიხურა ღილის 4 საათზე.

ტარტაროზი.

წერილი რედაქციის მიმართ.

გიორგი ხ. ჩხაიძეს.

ბ-ნო გიორგი! შენ სწერ, რომ მე ორჯერ ვეხებოდი ჟურნალ „ეშმაკის მათრახში“ შენს პიროვნებას და მიკვირს თუ რათ ჩამივარდა შენი ენი. მე ჩვეულებათ არა მაქვს მშრომელს და მოღვაწეს რაიმე უჩირკეველო. მხოლოდ მამლაყინწებს, ქარაფშუტებს და ნაკარქვეიებს რამდენადაც შემიძლია მუდამ ვემსახურები.

რაც შეგეხება შენ ბ-ნო გიორგი, სამი თვის განმავლობაში, დიდი შრომა გაგიწევია ხალხის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის, (როგორც თითთონ ამოწმებ) მაგრამ მე მაინც ზედმეტათ მიმაჩნია აცანაში მოღვაწეობის პრიზი ჩაგებაო.

კი არ გეწყინოს და აცანაში თუ მოღვაწეობაზე წავა საქმე შენს წინ 150 კაცი დადგება. ნამეტანი საქმის გაზვიადება და თავის-თავის ბუმბერაზათ დასახვაც არ ვარგა, როგორც ხედავ ქებით არ გაქებ, მაგრამ გინებითაც ღმერთმა დამიფაროს. არც ერთ წერილში შენ სახეში არ მყოლიხარ. შენ ამბობ, საამშენებლო კ-ს წევრი ვარო, ბრძანდებოდე ,მერე მე ხომ ახალი არაფერი მითქვამს ხსენებულ კომიტეტზე; მხოლოდ „ოფშტუალის“ 29 ივლისის „სოციალდემოკრატში“ მოთავსებული კორესპოდენცია მოვიხსენიე, რაზედაც შენს ოთხ ამხანაგებს შენზე მეტად ნამსახურებსაც არაფერი დაუნახავთ საამისო.

ამ განმარტების შემდეგ თუ მაინცა-და მაინც საპიროთ მიგაჩნია გაგაყვე სამედ. სასამართლოში წამოაყენე ბრალდებები: რას მიჩივი, რა გსურს გაარჩიოს მედიატორიებმა და მეც დაუყონებლივ გაგაყვები.

ისკანდერ.

სწავლა-აღზრდის საქმე.

მეხუთე გაკვეთილი.



— აბა სად მოდიხართ, ამხანაგო! განა ვერა გრძნობთ, რომ ამდენი საქმის შემდეგ კლასს დასვენება ესაჭიროება? ეს პირდაპირ უღმერთობაა. მიბრძანდით! მეხუთე გაკეთილი უნდა დავისვენოთ.

რედაქტორი ეშმაკი. ხელმძღ. ვ. რუხაძისა, გამომცემის შუახვ. № 1.